ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 11

ქალაქი ბათუმი

23 აპრილი, 2019 წელი (16 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
2. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
4. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
5. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
6. თამარ ხუხუნაიშვილი - ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 6, არ ესწრებოდა 5.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

გოჩა მგელაძე - ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარე - ბის კომისიის თავმჯდომარე, ანზორ დავითაძე - მუნიციპალური სერვისცენტრის მენეჯერი, ლევან ოკრეშიძე - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა, შოთა წაქაძე - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა, გულნაზ სურმანიძე - შავი ზღვის ეკოაკადემია, მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მეჯლისი'', დიანა გორგაძე, ნერიმან აბაშიძე - შავშეთის ქ. # 29 მცხოვრები, ნატალია დუმბაძე - ბონი-გოროდოკის საუბნო კავშირის თავმჯდომარე, ალექსანდრე ანანიძე - მოქალაქე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდა - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ჟურნალისტი.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 11 (23 აპრილი - 2019 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. პოეტ ზურაბ გორგილაძის ბიუსტის ე. წ. ვარდების სკვერში განთავსების საკითხის განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა.

(საფუძველი ქ.ბათუმის მერის წერილობითი მომართვა - N 25 / 6539 11 / 04 / 2019)

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

საკითხი 2. ქ. ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული მერის ვალდებულებების შესრულების საკითხის განხილვა; წერილის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

საკითხი 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მრჩეველთა საბჭოში შემოსული წერილების გაცნობა - განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

საკითხი 4. ქ. ბათუმში შავშეთის ქუჩაზე ე. წ. შანხაის დასახლებაში ბარაკული ტიპის ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემატიკაზე და არსებულ მდგომარეო - ბაზე საბჭოსთვის ინფორმაციის წარმოდგენა - განხილვა. მომხსენებელი: მაყვალა კვირიკაძე

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. პოეტ ზურაბ გორგილაძის ბიუსტის ე. წ. ვარდების სკვერში განთავსების საკითხის განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა.

(საფუძველი ქ.ბათუმის მერის წერილობითი მომართვა - N 25 / 6539 11 / 04 / 2019)
მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტე - ტის მერის მიერ პოეტ ზურაბ გორგილაძის ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებით განსახილველად და მოსაზრებების წარმოსადგენათ გადმოეგზავნათ წერილი თანდართული

მასალებით. სხდომის თავმჯდომარენ აღნიშნა, რომ მასალები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს ელექტრონულ ფოსტაზე.

საბჭოს წევრებმა - თამაზ თურმანიძემ და მაყვალა კვირიკაძემ მოკლედ აღნიშნეს და ისაუბრეს პოეტ ზურაბ გორგილაძის ღვაწლსა და შემოქმედებაზე.

კახაბერ გუჩმანიძემ - განაცხადა, რომ აჭარის რეგიონში სულ რამოდენიმე პოეტი ეგულება ზურაბ გორგილაძის მასშტაბისა და დამსახურების, აღნიშნა, რომ ძალიან უყვარს და პატივს სცემს მის შემოქმედებას. კახაბერ გუჩმანიძემ ასევე განაცხადა, რომ როგორც მოქალაქეს და ბათუმის მკვიდრს მიაჩნია - პოეტ ზურაბ გორგილაძის ბიუსტი მანამდეც უნდა ყოფილიყო განთავსებული ქალაქ ბათუმში.

საბჭოს დამსწრე წევრებმა თავიანთ საუბარში აღნიშნენ, რომ მიესალმებიან მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის ინიციატივას პოეტ ზურაბ გორგილაძის ბიუსტის მისივე სახელობის ქუჩაზე ე.წ. ვარების სკვერში განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა - საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას და დაეთანხმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქ.ბათუმის მერისთვის რეკომენდაციის მიცემას.

შესაბამისი წერილის მომზადება და მერისთვის მიწოდება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული მერის ვალდებულებების შესრულების საკითხის განხილვა; წერილის პროექტის განხილვა.
მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

კახაბერ გუჩმანიძემ - სხდომაზე დამსწრეებს განუცხადა, რომ საბჭოს როგორც მერის სათათბირო ორგანოს უპირველესად ევალება თავისი შეჯერებული მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების მერისთვის წარდგენა, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მიუხედავად არაერთი წარდგენილი წინადადებისა და რეკომენდაციისა მერის მხრიდან არ ყოფილა რაიმე ტიპის პასუხი, რაც სავარაუდოთ დადებითად ვერ აისახება შემდგომ ერთობლივ საქმიანობაზე.

კახაბერ გუჩმანიძემ - ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მერის ვალდებულებებიც, რაც არასათანადოდ სრულდება და დღემდე მერის მხრიდან საბჭოსთვის განსახილველად, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების წარმოსადგენათ ძალიან მცირე, უმნიშვნელო რაოდენობის მასალებია გადმოგზავნილი.

საბჭოს დამსწრე წევრები დაეთანხმნენ სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებას და აღნიშნეს, რომ მხოლოდ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა იქნება ქალაქისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ადექვატური რეაგირებისა და საზოგადოების ჩართულობის გარანტი.

კახაბერ გუჩმანიძემ წარმოადგინა ქ.ბათუმის მერზე წერილის შემდეგი პროექტი :

,, ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანომ - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ მიმდინარე წლის 23 აპრილის მე - 11 სხდომაზე განიხილა დღის წესრი -

გით გათვალისწინებული საკითხი - *„ ქ. ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული მერის ვალდებულებების შესრულების საკითხის განხილვა; წერილის პროექტის განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე "*. აღინიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო საკმაო აქტიურობით ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოსილებებს და მაქსიმალურად ცდილობს აქტიურად იყოს ჩაბმული ქალაქისთვის სხვადა - სხვა საჭირბოროტო საკითხების განხილვაში, ასევე იყოს სამოქალაქო სექტორსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის მაკავშირებელი რგოლი.

მოგეხსენებათ, მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრულია საბჭოსა და მუნიციპალი-ტეტის მერის ურთიერთობები, კერძოთ : - „ *მერი ვალდებულია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარე ბის დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქ-ტურული და სოციალური პროექტები. " (მუხლი 6, პუნქტი 1 - ლი)*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით სამომავლოდ შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოთ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების და სხვა მასალების საბჭოსთვის განსახილველად მოწოდება.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის. "

საბჭოს წევრებმა გულდასმით მოისმინეს წერილის პროექტი და გამოთქვეს თანხმობა მოცემული რედაქციით საკითხის კენჭისყრაზე დასაყენებლად.

გაიმართა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ წერილის პროექტს.

მერისთვის დადგენილი წესით წერილის მიწოდება ეთხოვა - კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მრჩეველთა საბჭოში შემოსული წერილების გაცნობა - განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

კახაბერ გუჩმანიძემ - სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული კორესპონდენციები (რაც ასევე დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე) : -

პირველი ეხებოდა საბჭოს ინიციატივაზე რეაგირებას, კერძოთ საბჭომ მიმართა მერს საბჭოს წევრ გურამ ფუტკარაძის ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტიის მერიის „ საპატიო წოდების მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოში" წევრად შეყვანის თაობაზე რაც მერმა დააკმაყოფილა ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ მიესალმება მერის გადაწყვეტილებას და ულოცავს ბატონ გურამ ფუტკარაძეს, თუმცა უპრიანი იქნებოდა მერის მხრიდან სხვადასხვა კომისიებში საბჭოს წევრთა შეყვანის თაობაზე წარდგენილ სხვა ინიციატივებზეც ასეთივე დადებითი პასუხი მიეღოთ და არა ის რაც იქნა წარმოდგენილი- უარი საკმაოდ სუსტი არგუმენტაციით.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა მერიამ შერჩევითად მიუდგა საბჭოს სხვადასხვა წევრთა კონკრეტულ კომისიებში შეყვანის თაობაზე წერილობით წარდგენილ ინიციატივებს,

რაც სამოქალაქო სექტორის მეტი ჩართულობისა და ნდობის ამაღლების წინაპირობა იქნებოდა.

მეორე კორესპონდენცია ეხებოდა საბჭოს წერილზე პასუხს შპს ,,დექსტერ დეველოპმენტის'' საკითხთან დაკავშირებით, რაც საბჭომ მე-10 სხდომაზე განიხილა.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ მერიის წერილში რამოდენიმე საინტერესო და გასათვალის წინებელი ფაქტია აღნიშნული, რაზეც სავარაუდოთ იმსჯელებს ზემოხსენებული კომპანია.

გადაწყდა, რომ ეთხოვოს კახაბერ გუჩმანიძეს დაუკავშირდეს შპს ,,დექსტერ დეველოპმენ - ტის'' ხელმძღვანელობას და უზრონველყოს მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის წერილობითი პასუხის ქსეროასლის მიწოდება.

საკითხი 4. ქ. ბათუმში შავშეთის ქუჩაზე ე. წ. შანხაის დასახლებაში ბარაკული ტიპის ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემატიკაზე და არსებულ მდგომარეო - ბაზე საბჭოსთვის ინფორმაციის წარმოდგენა - განხილვა. მომხსენებელი: მაყვალა კვირიკაძე

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეთ, მათ შორის ე.წ. შანხაის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას გადაუხადა მადლობა, იმისათვის, რომ მათ ქ.ბათუმის მერის სამოქა- ლაქო მრჩეველთა საბჭო მიიჩნიეს იმ ორგანოთ, რომელსაც მათ პრობლემებზე მსჯელობა და კომპეტენციის ფარგლებში ჩართვა შეუძლიათ.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ უკანსკნელ პერიოდში მრჩევლთა საბჭოსადმი ნდობა გაცილებით მატულობს, რაც სავარაუდოთ საბჭოს განსაკუთრებული აქტივობითაა განპირობებული.

კახაბერ გუჩმანიძე - მადლობას ვუხდი ქალბატონ მაყვალა კვირიკაძეს აქტიურობისთვის, როგორც ჩემთვისაა ცნობილი ის საკითხის დღის წესრიგში წარმოდგენამდე შეხვდა შანხაის დასახლებაში მცხოვრებთ და სწორედ მათი თხოვნით გადაწყვიტა საბჭოს დღის წესრიგში საკითხის ინიცირება.

მაყვალა კვირიკაძემ - ისაუბრა და მოკლე ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს ე.წ. შანხაის დასახლე ბაში არსებულ პრობლემებზე რაც ძირითადად შეეხებოდა მოსახლეობასა და ინვესტორს შორის არსებულ ურთიერთობებს, ასევე აღნიშნა იქ არსებული მძიმე სოციალური ფონი და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა არსებული ბარაკული ტიპის სახლების ავარიულ მდგომარეობაზე.

თამაზ თურმანიძე - მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს რათა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და უსაფრთხოება იყოს სათანადოდ დაცული, ასევე უნდა მოხდეს დეტალური შესწავლა სახლების ავარიულ მდგომარეობის კუთხით რათა შემდგომი გართულებები თავიდან იქნას აცილებული.

კახაბერ გუჩმანიძე - თუკი წარმოდგენილი პრობლემა მხოლოდ მოსახლეობასა და ინვეს - ტორს შორის ურთიერთობებს ეხება საბჭოს საკითხის მოგვარებაში ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს, რადგან ეს კერძო დავაა, მაგრამ ის, რომ ბარაკული ტიპის სახლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს ეს სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა რასაც სიღრმისეული შესწავლა და რისკების ანალიზი ჭირდება.

ზურაბ ჩიხლაძე - ვფიქრობ ინვესტორსა და კერძო მოსახლეობას შორის კონკრეტულ საინვესტიციო პირობებზე საუბარი სცდება საბჭოს კომპეტენციას, თუმცა როგორც

მოქალაქემ შემიძლიათ მოგცეთ კონკრეტული რჩევები მიდგომებისა და მენეჯმენტის კუთხით.

გაიმართა დებატები, გარდა საბჭოს წევრებისა საკითხის განხილვაში აქტიურად ჩაერთვნენ - საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - გოჩა მგელაძე და მუნიციპალური სერვისცენტრის ხელმძღვანელი ანზორ დავითაძე.

გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ წინა საქმიანობიდან გამომდინარე სიღრმისეულად და დეტალურად იცნობს ე.წ. შანხაის დასხლეებაში არსებულ პრობლემებს და ეს დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მან აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩაბმული, ასევე ხელს უწყობდა მოსახლეობასა და ინვესტორს შორის მოლაპარაკებების დროს მოქლაქეთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვასა და გათვალისწინებას.

ანზორ დავითაძემ განაცხადა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან ყველა ღონის ძიება ტარდება რათა ხელი შეეწყოს მოსახლეობის ინტერესების დაცვასა და აღნიშნული საკითხის მოგვარებას, თუმცა დღემდე რჩება რამოდენიმე ოჯახი ვისთანაც რაიმე ტიპის მოლაპარაკებასა და ადექვატური პირობის შეთავაზებას ვერ ახერხებს ინვესტორი.

საკითხის ირგვლის გაიმართა დებატები.

მსჯელობაში აქტიურად ჩაერთვნენ ე.წ. შანხაის დასახლების მაცხოვრებლები.

კახაბერ გუჩმანიძემ, ზურაბ ჩიხლაძემ და თამაზ თურმანიძემ მათი მხრიდან არსებული მდგომარეობის აღწერის შემდგომ ურჩიეს -თავად დაელაგებინათ ურთიერთობები დასახლე-ბაში მცხოვრებ მოსახლეობასთან და მათი ჩართულობით შეემუშავებინათ კანკრეტული მოთხოვნების პაკეტი რაც ინვესტორთან ურთიერთობას გაცილებით გაადვილებდა.

საბოლოოდ საკითხის უფრო დეტალურად გაცნობის მიზნით გადაწყდა უახლოეს დღეებში ადგილზე გასვლით მოხდეს მოსახლეობასთან შეხვედრა და არსებული სიტუაციის გაცნობა, რასთან დაკავშირებითაც საბჭოს დამსწრე წევრებმა გამოთქვეს მზაობა.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიას და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

23 აპრილი 2019, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

23 აპრილი 2019, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	574-57-09-09	
2.	[illegible]	[illegible]	593 585628	
3.	[illegible]	[illegible] 29 [illegible]	595-16-53-53	
4.	[illegible]	[illegible]	577-55-30-40	
5.	[illegible]	[illegible] 29 [illegible]	593-52-59020	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	ალექსანდრე ანანიძე	მოქალაქე.	ANANIDZE85@icloud.com	ა.ანანიძე.
7.	ლევან ოქრეშიძე	ს.ა.ე.ა. [illegible]	levan.okreshidze@yahoo.com	[illegible]
8.	შოთა წეკაძე	ს.ა.ე.ა. [illegible]	shota.tsekadze@yahoo.com	შ.წ[illegible]
9.	[illegible] დავითაძე	[illegible]	davitadze@list.ru	[illegible]
10.	გოჩა [illegible]	[illegible]	gocha.degd@gmail.com	გ.[illegible]
11.				
12.				
13.				
14.				